საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

ნებისმიერი პირი ვალდებულია,
მოსწავლის მიმართ სკოლაში ძალადობის სავარაუდო ფაქტის ან ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია მიაწოდოს სკოლის მანდატურს, უფლებამოსილ პირს ან სკოლის ადმინისტრაციას.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაწეული სამსახური უფასოა და ხორციელდება კონფიდენციალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით

ცხელი ხაზი

1481

www.ombudsman.ge
info@ombudsman.ge
www.facebook.com/OmbudsmanofGeorgia/

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სახალხო დამცველის ოფისები

თბილისი
- დავით აღმაშენებლის გამზირი 150
- სადღეღამისო ცხელი ხაზი: 1481
- info@ombudsman.ge
- https://www.fb.com/OmbudsmanofGeorgia/

ბათუმი
- დუმბაძის N10
- 0422 27 60 32
- 577 50 52 31

ზუგდიდი
- მერაბ კოსტავას N58
- 0415 22 36 11
- 595 52 53 56

ოზურგეთი
- ილია ჭავჭავაძის N14
- 0496 27 30 53
- 599 49 48 59

გორი
- სამების ქ. N1
- 0370 27 05 49
- 551 66 14 77

თელავი
- სააკაძის მოედანი N1
- 0350 27 99 27
- 591 88 35 38

ქუთაისი
- შოთა რუსთაველის N18
- 0431 25 33 50
- 577 55 33 81

ზემო სვანეთი
- მესტია, სეტის მოედანი N19
- 591 50 82 62

ახალქალაქი
- ილია ჭავჭავაძის N4
- 0362 22 32 83
- 591 96 88 82

მარნეული
- შოთა რუსთაველის N 51
- 0357 22 19 70
- 595 52 53 57

საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

ბავშვის მიმართ ძალადობა

www.ombudsman.ge

ბავშვის მიმართ ძალადობა მისი უფლებების უხეში დარღვევაა. ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური თუ სექსუალური... ბავშვზე ძალადობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ოჯახში, საბავშვო ბაღში, სკოლაში, ქუჩაში, სამეზობლოში...

ამიტომ მნიშვნელოვანია თითოეულმა ჩვენგანმა იცოდეს, რა არის ბავშვის მიმართ ძალადობა და რა ზომებს მივმართოთ მსგავს შემთხვევაში.

ძალადობის შედეგი

ბავშვზე ნებისმიერი სახის ძალადობას ზიანი მოაქვს მისი როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის.

ბავშვის ფიზიკური დასჯა აკრძალულია

ძალადობის ფორმებია: ფიზიკური - ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება, სხეულებრივი დასჯა და სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, ფსიქოლოგიური - დაცინვა, დამცირება, მუქარა, შეურაცხყოფა, შანტაჟი და სხვა.

ბულინგი

აგრესიული ქცევაა, რომლის დროსაც ერთი მეორეს წინასწარი განზრახვით სისტემატურად აყენებს ზიანს ან უქმნის დისკომფორტს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ბულინგი ძალადობის თითქმის ყველა ფორმას მოიცავს, როგორიც არის, ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაცინვა, დამცირება, იზოლაცია - გარიყვა, ფიზიკური შეურაცხყოფა და მრავალი სხვა.

რას გულისხმობს ბავშვის უფლება დაცული იყოს

ყველა ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან.

სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით, დროულად გამოავლინოს ძალადობის ფაქტი და მოახდინოს შემდგომი რეაგირება, მიიღოს სათანადო ზომები ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეაბილიტაციისა და მხარდაჭერისთვის.

როგორ უნდა დაიცვას სკოლამ ბავშვი ძალადობისგან?

ბავშვი ყველგან და მით უფრო, სკოლაში დაცული უნდა იყოს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და არასათანადო მოპყრობისაგან, უფროსებისა თუ თანატოლების მხრიდან მიყენებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანისგან.

მოსწავლის მიმართ სკოლაში მომხდარი ძალადობის ფაქტის შემთხვევაში მანდატური, უფლებამოსილი პირი ან სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ვალდებულია, დაუკავშირდეს „112“-ს, რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს.

მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, პასუხისმგებელი პირი მოსწავლეს მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში აგზავნის.

ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, მანდატური, უფლებამოსილი პირი ან სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება „112“-ს.



ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, სკოლამ, დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს ჰქონდეს ინფორმაცია თავისი უფლებების შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანია პასუხისმგებელ პირთა ცოდნა ბავშვის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობაზე რეაგირების მექანიზმთან დაკავშირებით.

რომელ უწყებებს უნდა მიმართოთ არასრულწლოვნის მიმართ სკოლაში, ოჯახსა თუ სხვა გარემოში ძალადობის ეჭვის შემთხვევაში?

- შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი სიტუაციების ოპერატიული მართვის ცენტრს - **112**
- სოციალური მომსახურების სააგენტოს - **1505**
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ცხელ ხაზზე - **2 200 220**
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს - **2 200 220 (3335)**
- სახალხო დამცველის აპარატს ცხელ ხაზზე - **1481**